ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97.9722040001**

თარიღი:**09/02/2022**

საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი

დ. ლენტეხი 21 იანვარი 2022წ

მიმდინარე წლის 21 იანვარს დღის 10 საათზე ჩატარდა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 13 (ცამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 7(შვიდი) წევრი.

სხდომას ესწრებოდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი ლევან ლიპარტელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N-628 დადგენილებით დამტკიცებული 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“-ის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ დასაფინანსებლად წარსადგენი საპროექტო იდეის ,,დაბა ლენტეხში სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაციის შესახებ“ მოწონების თაობაზე.

/მომხ. ლ. ლიპარტელიანი/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭის ყრის შედეგით მომხრე - 13 და წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა ლევან ლიპარტენლიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N-628 დადგენილებით დამტკიცებული 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“-ის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ დასაფინანსებლად წარსადგენი საპროექტო იდეის ,,დაბა ლენტეხში სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაციის შესახებ“ მოწონების თაობაზე.

სხდომის წევრებმა ერთხმად მოიწონეს აღნიშნული განკარგულების პროექტი.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N-628 დადგენილებით დამტკიცებული 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“-ის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ დასაფინანსებლად წარსადგენი საპროექტო იდეის ,,დაბა ლენტეხში სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაციის შესახებ“ მოწონების თაობაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 10 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი